ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1225755

ნომერი: AR1209109

თარიღი : 01.04.2014

გაცემის თარიღი : 16.04.2014

გაცნობის თარიღი : 17.04.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , მე-12 კმ. , (ნაკვეთი 11/047) / ქალაქი თბილისი , საქართველოს სამხედრო გზასა და დიდ დიღომში შესასვლელ გზასთან;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ილია ხავთასი პ/ნ 01020010688
- თბილისი მ.მესხის ქ. N 26ა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სამსახურს შესაძლებლად არ მიაჩნია წარმოდგენილი სახით, ფეხითმოსიარულეთა სავალ გზაზე მიმთითებელი აბრის (კონსტრუქციის) განთავსება, ვინაიდან აღნიშნულის განთავსება ხელს მოქალაქეთა თავისუფალ გადაადგილებას. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, საჭიროა მოინახოს მიმთითებელი აბრის განთავსების სხვა ალტერნატიული ვარიანტი. ამ ეტაპზე სამსახური თქვენს მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს.
ასევე, ვინაიდან რეკლამა ეწყობა საკადასტრო საზღვრის გარეთ, სამსახურის მიერ საკითხის დადებითი პოზიციის დაფიქსირების შემდგომ უნდა მიმართოთ შ.პ.ს "აუთდორ ჯი"–ს, ვინაიდან თქვენს მიერ სარეკლამო აბრის მოსაწყობად შერჩეული ადგილი წარმოადგენს თვითმართველი ერთეულის საკუთრებას, გაცნობებთ, რომ 2009 წლის 6 თებერვლის #2–4 გადაწყვეტილების თანახმად გამოცხადებული აუქციონის საფუძველზე ქ. თბილისში არსებული სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვას მარჯვენა სანაპიროზე გასცემს შ.პ.ს "აუთდორ ჯი", ხოლო მარცხენა სანაპიროზე შ.პ.ს "სმოდ ედვერთაიზინგი", გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან საჭიროა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმართოთ შ.პ.ს "აუთდორ ჯი"–ს (მისამართი: ვაჟა–ფშაველას გამზ. #45, რუსთავი 2–ის შენობა).

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge